სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო

მარშალ გელოვანის გამზ. N36ა
0159 თბილისი, საქართველო
(+995 32) 91 91 67
info@nfa.gov.ge

18 იანვარი 2024

N 09/369

საქართველოს სტრატეგიული კვლევისა და განვითარების ცენტრი

პროგრამის კორდინატორს ვახტანგ კობალაძეს

ელ.ფოსტა: office@csrdg.ge

ბატონო ვახტანგ,

გაცნობებთ რომ, 2023 წლის 20 დეკემბრის სსიპ ,,სურსათის ეროვნული სააგენტო“-ში შემოსული თქვენი N44676 წერილის საფუძველზე, რომელიც ეხებოდა ი/მ „ნოდარ ლაზარეშვილი“-ს (ნედლი რძის თერმული გადამუშავება, ს/კ 10001012704; ფაქტიური მის: ბოლნისი სოფ: რატევანი) და კოოპერატივი “რკ ქცია 2014”-ს (ნედლი რძის თერმული გადამუშავება, ს/კ 443119894, ფაქტიური მის: წალკა, სოფ. საყდრიონი) მიერ წარმოებულ ყველში(სულგუნი) მცენარეული წარმოშობის ცხიმის აღმოჩენის ფაქტს, 2023 წლის 26 დეკემბერს ქვემო ქართლის, რეგიონული სამმართველოს უფლებამოსილი პირების მიერ განხორციელდა სახელმწიფო კონტროლი ი/მ „ნოდარ ლაზარეშვილთან“. ბიზნესოპერატორის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დადგინდა, რომ საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის 2023 წლის 20 დეკემბრის N44670 წერილში დაფიქსირებული სულგუნის პარტია დამზადების თარიღით 26.11.2023წელი, რომელშიც ლაბორატორიული კვლევის შედეგად აღმოჩნდა სხვა ცხიმების ნარევი, მათ შორის მცენარეული ცხიმები ი/მ „ნოდარ ლაზარეშვილი“-ს მიერ წარმოებულ იქნა 377 კგ. ოდენობით სხვადასხვა მომწოდებლისაგან მიღებული 3211ლ. ნედლი რძისგან. აღნიშნული სულგუნის პარტია ვარგისიანობის ვადით 13.12.2023წ. მთლიანად იქნა რეალიზებული სავაჭრო ქსელში.

სახელმწიფო კონტროლის დროს გამოვლენილ არაკრიტიკულ შეუსაბამობებზე ბიზნესოპერატორს მიეცა გონივრული ვადა მათ აღმოსაფხვრელად. ასევე, უფლებამოსილი პირების თანდასწრებით განხორციელდა წარმოებაში არსებული 25.12.2023 წელს დამზადებული, შერჩევითად აღებული სულგუნის ნიმუშის დალუქვა, რომელიც 2024 წლის 9 იანვარს, მეწარმის მიერ მიტანილ იქნა სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიაში, ყველში რძის ცხიმის სისუფთავის განსაზღვრის მიზნით. 2024 წლის 17 იანვარს ლაბორატორიის მიერ გაცემული

გამოცდის ოქმის მიხედვით, ყველში(სულგუნი) არ იქნა აღმოჩენილი მცენარეული ცხიმი (იხ. დანართი).

ამასთან გაცნობებთ, რომ კოოპერატივი "რკ ქცია 2014"-ს დირექტორმა გურამ ჯაყელმა, 2023 წლის 31 ოქტომბრის N36486 წერილით მომართა სურსათის ეროვნულ სააგენტოს საქმიანობის დროებით შეჩერების თაობაზე.

პატივისცემით,

ზურაბ ჩეკურაშვილი

სააგენტოს უფროსი